

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

**სამართალი**

**Law**

**მიმართულება/სპეციალობა:** სამართალი

ფართო სფერო: 04 - ბიზნესი ადმინისტრირება და სამართალი Business, Administration and Law

დეტალური სფერო: 0421-სამართალი/ Law

**პროგრამის ხელმძღვანელ(ებ):**

მარინე კვაჭაძე, სამართლის დოქტორი, აფილირებული პროფესორი

სალომე ჭელიძე, სამართლის დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი

1. ცვლილებები განხორციელებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ  
ოქმი №7 26.04.2022

ფაკულტეტის დეკანი

/თ. თამარაშვილი/

2. რეკომენდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ

ოქმი №7 27.04.2022

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი:

/ მ. ღაღოლიშვილი/

3. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ  
ოქმი №7 28.04.2022

უნივერსიტეტის რექტორი

/ი. შიომვილი/

**თელავი**

**2022**

## საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: სამართალი/ LAW

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი/ Bachelor of Law

პროგრამის ანალოგ(ებ): პროგრამა შემუშავებულია ევროპის და მსოფლიოს უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამების გამოცდილების გათვალისწინებით, კერძოდ:

1. ოქსფორდის უნივერსიტეტი, სამართლის პროგრამა,

[https://www.law.ox.ac.uk/admissions/options?fbclid=IwAR2OEoCVXCBJu00sG58IJ3NPER1l1axZYPI\\_fkxXv0wKGAyoC8ge3nrslyo#node-7932](https://www.law.ox.ac.uk/admissions/options?fbclid=IwAR2OEoCVXCBJu00sG58IJ3NPER1l1axZYPI_fkxXv0wKGAyoC8ge3nrslyo#node-7932)

2. ფრაიბურგის ალბერტ ლუდვიგ უნივერსიტეტი, სამართლის პროგრამა

<https://uni-freiburg.de/?fbclid=IwAR0zrHnYQJOqU-c4uK2irJbDxuwlHvmXNtxP8FiXbeSaOO6RWrjKvApikrc>

3. გოტინგენის უნივერსიტეტი, სამართლის პროგრამა

[https://www.uni-goettingen.de/?fbclid=IwAR0X4UQIdkaQY\\_inekjfvzQu6ltJ5Kle5ojYYkRNzZzjema\\_\\_FpuMx-trE](https://www.uni-goettingen.de/?fbclid=IwAR0X4UQIdkaQY_inekjfvzQu6ltJ5Kle5ojYYkRNzZzjema__FpuMx-trE)

4. გაიზენჰაინის უნივერსიტეტი, სამართლის პროგრამა,

<https://www.hs-geisenheim.de/?fbclid=IwAR2cRKf0ZPab8S2HZ9QFKz0fZEZzISfH0Br0yt2FAdwbK3uU7NNfx7BHMg>

5. სალონიკის არისტოტელე ონასისის უნივერსიტეტი, სამართლის პროგრამა

[https://law.auth.gr/en/curriculum-overview-indicative/?fbclid=IwAR2\\_ULbBJrNJvivTc\\_QQDaNt0bO6Z-n2CizpKZ7LLuATIFw8nUSarNeUwJw](https://law.auth.gr/en/curriculum-overview-indicative/?fbclid=IwAR2_ULbBJrNJvivTc_QQDaNt0bO6Z-n2CizpKZ7LLuATIFw8nUSarNeUwJw)

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები: -

მარინე კვაჭაძე, სამართლის დოქტორი, აფილირებული პროფესორი,

ტელ: 599574811, e-mail: mkvachadze@tesau.edu.ge

სალომე ჭელიძე, სამართლის დოქტორი, აფილირებული ასოცირებული პროფესორი

ტელ: 599902780, e-mail: salome.chelidze@tesau.edu.ge

აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (1-ლი საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: ძირითადი

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი Bachelor of Law

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 კრედიტი.

სამართლის საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე. სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში საშუალოდ – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

### **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების რანჟირების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.-

ქვეყნის და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადებისთვის **პროგრამის მიზანია:**

1. შესძინოს ფართო და სისტემური ცოდნა სამართლის არსის, ეროვნული და მსოფლიოს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის (მათ შორის ევროკავშირის დირექტივებისა და საკანონმდებლო რეგულაციები) ძირითადი თავისებურებების, ზოგადსამართლებრივი პრინციპებისა და ინსტიტუტების, ფასეულობებისა და ღირებულებების, სამართლის წყაროების, ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის შესახებ; აგრეთვე შესძინოს ფართო და თეორიული ცოდნა საჯარო, კერძო, საერთაშორისო და სისხლის სამართლის სფეროში.
2. გამოუმუშავოს კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების ანალიზის, მათი გადაწყვეტის შესაბამისი მიდგომების განვითარების, ასევე საკუთარი სამართლებრივი დასკვნების თაობაზე იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერიტი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
3. გამოუმუშავოს სამართლის ნორმების, წყაროების, მეთოდების ანალიზის, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, დავის სტრატეგიისა და ტაქტიკის, იურიდიული ხასიათის

დოკუმენტების და, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების, სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისა და დასაბუთების უნარი;

4. გამოუმუშავოს სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების და ასევე წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი;
5. გამოუმუშავოს ქართულ და უცხო ენაზე ინფორმაციის მიღებისა და ანალიზის. მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მოძიების, გაანალიზებისა და საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით,
6. გამოუმუშავოს პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების და პროფესიული ქცევის ნორმის ფარგლებში მოქმედების უნარი; ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი.

## სწავლის შედეგები

### ცოდნა და გაცნობიერება

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- 1.1. აღწერს სამართლებრივ სისტემებსა და ძირითად პრინციპებს, სამართლის ნორმათა კლასიფიკაციას, ეროვნული სამართლის სისტემას, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართების ასპექტებს, კერძო, სისხლის, საჯარო, საერთაშორისო სამართლის სისტემებს, ცნებებს, ფუნდამენტურ პრინციპებსა და რეგულირების თავისებურებებს, სამართალწარმოების საკითხებს, კანონშემოქმედებით პროცესს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, რომის სამართლის წყაროებსა და ძირითად ინსტიტუტებს; ევროკავშირის სამართალთან ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საკითხებს;
2. აღწერს სახელმწიფო მოწყობის პრინციპებს, კონსტიტუციური ორგანოების ფუნქციონირების თავისებურებებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, ადმინისტრაციული სამართლის ძირითად პრინციპებს, საჯარო მმართველობის კონსტიტუციურ საფუძვლებს, საჯარო მმართველობის პრინციპებს, საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებსა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული დავების წარმოშობის მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებს, მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრინციპებს, სტადიებს, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის თავისებურებებს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებს და სასამართლოში ადმინისტრაციული საქმის განხილვის თავისებურებებს; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფის ინსტიტუტებსა და მექანიზმებს; ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, ადმინისტრაციული სამართლისა და ადმინისტრაციული პროცესის,

სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ნორმებს, სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო პროცესის ნორმების მოქმედებასა და თავისებურებებს;

- კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის მიზნებს, ამოცანებს, წყაროებს, სამოქალაქო სამართლის უზოგადეს ცნებებსა და პრინციპებს, სანივთო სამართლის სისტემას და პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, შრომის სამართლის ძირითად პრინციპებს, შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, საკორპორაციო სამართლის პრინციპებსა და სამეწარმეო თავისუფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, სამოქალაქო სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებს, მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს, სამოქალაქო სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვის თავისებურებებს;
  - სისხლის სამართლის მიზნებს, ამოცანებს. ძირითად პრინციპებს, დანაშაულის არსსა და სახეებს, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებს, სასჯელის სისტემას, სისხლის სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს, სტადიებსა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის თავისებურებებს.
  - განსაზღვრავს საერთაშორისო სამართლის სისტემას, ძირითად პრინციპებს, ინსტიტუტებს, საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობების მექანიზმებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობას;
3. განსაზღვრავს სამართლის/ნორმის გამოყენების, მოთხოვნის საფუძვლების შემოწმების საკითხებს სამართლებრივი კონფლიქტების გადაჭრის მიზნით, განსაზღვრავს სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზებს, მახასიათებლებსა და მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს.

## უნარი

### სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

4. ამოიცნობს სხვადასხვა ხასიათის სამართლებრივ პრობლემებს, სამართლის სხვადასხვა სფეროში, კრიტიკული გააზრებითა და მრავალმხრივი/კომპლექსური ხედვის საფუძველზე აფასებს პრობლემებს და სამართლის მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს; იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს ზეპირი და წერილობითი ფორმით; შეიმუშავებს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
5. **მოიძიებს** და იდენტიფიცირებას ახდენს იმ ინფორმაციის, ნორმატიული საფუძვლების, ეროვნული ან საერთაშორისო წყაროების და სასამართლო გადაწყვეტილებების მასალებს, რომელთა გამოყენება რელევანტურია კონკრეტული სამართლებრივი დავების გადაწყვეტის მიზნით, სწავლობს და

ანალიზებს იურიდიულ დოკუმენტაციას, გეგმავს კონფლიქტების/დავების გადაწყვეტის პროცესს (სასამართლო და არასასამართლო), ეთიკის ნორმების გათვალისწინებით შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას;

6. შეიმუშავებს საკონტიტუციო, სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული სფეროში საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და სამართლებრივ/საპროცესო დოკუმენტების, საკონსტიტუციო სარჩელის პროექტებს; შეიმუშავებს დასაბუთებულ პოზიციებს და საბოლოოდ ეთიკური ნორმების დაცვითა და წინასწარ შემუშავებული სტრატეგიით ახორციელებს პროფესიულ მოქმედებებს. **ადგენს** იურიდიული ტერმინების ზუსტი გამოყენებით სამართლებრივ დოკუმენტებს. და არგუმენტირებულად აყალიბებს პრობლემურ საკითხებს და მსჯელობს მათი გადაწყვეტის გზებზე, **აყალიბებს** რეკომენდაციებს, საინფორმაციო-ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით დამაჯერებლად წარუდგენს შესაბამის აუდიტორიას არგუმენტირებულად დასაბუთებულ დასკვნებს; შეუძლია გუნდური მუშაობა სხვადასხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტების შედგენისას; გააჩნია მალეცვალებად გარემოში სწრაფი ადაპტირების უნარი.

### პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- 7. ავლენს თვითგანვითარების, ცოდნის განახლების, სამართლებრივი/საკანონმდებლო სიახლეების მიდევნების უნარს, დამოუკიდებლად, ამავდროულად, გუნდურად წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას და ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებებს; ავლენს სწრაფად ცვალებად გარემოში სწრაფი ადაპტაციის უნარს.
- 8. ცნობს, აღიარებს და იცავს ადამიანის უფლებების უზენაესობას, სამართალწარმოებისა და პროცედურული სამართლიანობის პრინციპებს, პროფესიული საქმიანობის ეთიკური ღირებულებებისა და ნორმების მნიშვნელობას.

### სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები:

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: ლექციები ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით, სემინარები, წერიტი და ზეპირსიტყვიერი მუშაობის მეთოდები, პრაქტიკული მუშაობის მეთოდი, (პრეზენტაცია, მუშაობა online-რეჟიმში), ჯგუფური მუშაობის მეთოდები, ინდუქციური და დედუქციური, ანალიზის და სინთეზის მეთოდები და სხვა, რომლებიც ასახულია კონკრეტული საგნის სილაბუსში.

- ლექცია                       სამუშაო ჯგუფში მუშაობა                       სემინარი
- საბაკალავრო ნაშრომი                       კაზუსი                       პრაქტიკული მუშაობა
- საშინაო დავალება/რეფერატი                       ელექტრონული რესურსით სწავლება

სასწავლო პრაქტიკა

ესე

სხვა

საბაკალავრო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებულია სწავლების მეთოდები და აქტივობები, ისინი ასახულია თითოეულ სილაბუსში, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. სწავლების მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზეც.

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო და/ან კვლევითი ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები და აქტივობები, როგორებიცაა ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, გუნდური (ჯგუფური) მუშაობა, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, იმიტირებული სასამართლოებისა და კვაზი-სასამართლოების გამართვის (მაგ.: ეთიკის კომისია და სხვა);

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი - ამ აქტივობას მიეკუთვნება თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ;
- თავისუფალი დისკუსია - თავისუფალი დისკუსიის მიზანია, შექმნას ისეთი გარემო, სადაც სტუდენტი მიეჩვევა საკუთარი აზრის არგუმენტირებულ და გამართულ ფორმულირებას. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, სტუდენტი მივაჩვიოთ კრიტიკული აზროვნების ძირითად პრინციპებს. თავისუფალი დისკუსიის დროს ლექტორი ქმნის ე. წ. მართვადი ქაოსის ვითარებას და ცდილობს, სტუდენტებმა, კონკრეტულ წესებზე შეთანხმების გზით, თავად მოახერხონ ვითარების დარეგულირება.

სწავლის პროცესში გამოიყენება ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის და სხვა მეთოდები:

- სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

- **სწავლების დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- **სასწავლო პროცესში** ანალიზის მეთოდი გამოიყენება სასწავლო მასალის, საკანონმდებლო ნორმების, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება, გააზრება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

- **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული სამართლებრივ საკითხის ირგვლივ. კონკრეტული მაგალითის საფუძველზე დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
- **შემთხვევის ანალიზი** - მიეკუთვნება სწავლების იმ ინტერაქტიულ მეთოდთა რიცხვს, რომლებიც სტუდენტებს რეფლექსური და გადაწყვეტილების მიღებისკენ ორიენტირებული ქცევისთვის განაწყოებს. მისი მიზანია, განუვითაროს სტუდენტს ანალიტიკური, ჩვენს შემთხვევაში სამართლებრივი კატეგორიებით აზროვნება, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ეს მეთოდი პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდთა რიცხვს მიეკუთვნება. ასეთი ტიპის სწავლების დროს სტუდენტები კონკრეტული შემთხვევის ყოველმხრივ განხილვას, ანალიზს, შემთხვევის ცალკეულ ასპექტებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს ადგენენ;
- **საქმის განხილვა (ე.წ.კაზუსი, Case-Study)** - პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს/სვამს კითხვებს კონკრეტული საქმის (ჰიპოტეტური) ირგვლივ და ანალიზებს საქმის მასალებს; მიდის ლოგიკურ დასკვნამდე;
- **კვლევითი სწავლების პროცესი (ე.წ. Inquiry Learning)** - ლექტორი წარმოადგენს ძირითად კონცეფციას და სთხოვს სტუდენტების ჯგუფს, რათა მათ შეისწავლონ ჰიპოთეზა და დასკვნები.
- **კლინიკური სწავლება** - კეთებით სწავლება რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით;
- **სოკრატისეული მეთოდი** - საკითხის კლასში განხილვა წაკითხული მასალის საფუძველზე: ლექტორი სვამს პრობლემურ და არაინფორმაციულ შეკითხვებს და სთხოვს სტუდენტებს თავად მივიდნენ პრობლემის გადაწყვეტამდე.
- **დისკუსია/დებატები** – გულისხმობს ინტერაქტიულ სწავლებას, რომელიც მიმართულია საკუთარი აზრის მკაფიოდ, ლოგიკურად და დასაბუთებულად გადმოცემის და სხვისი მოსაზრების ოპონირების უნარის ჩამოყალიბება-განვითარებაზე; დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას (მაგალითად პროფესიული ეთიკის სწავლებისას). დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი სტუდენტს უვითარებს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს, რაც იურისტიკისათვის მეტად მნიშვნელოვანია.
- **დემონსტრირება**– ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს (მაგალითად უცხო ენის შესწავლისას ან საერთაშორისო სამართლის, ადამიანის უფლებათა სამართლის საგნებში). შესასწავლი მასალის დემონსტრირება

შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

- **ჯგუფური (გუნდური) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს მსჯელობის, დისკუსიების გაძლიერების, კრიტიკული აზროვნებისა და სხვათა დარწმუნების უნარის განვითარებას. აღნიშნული მეთოდი აპრობირებულია სამართლის კლინიკის სწავლებაში.
- **პრობლემის გადაჭრა** - ამ მეთოდით სწავლების შედეგად სტუდენტებს ეცოდინებათ, რა სისტემა გამოიყენება სამართლებრივი პრობლემის გადასაჭრელად. სწავლების ეს მეთოდიკა ავითარებს ისეთ უნარ-ჩვევებს, როგორცაა: მოსმენის კულტურა, იდეების გაცვლა და სხვა პირთა უფლებების პატივისცემა.
- **სადისკუსიო პრობლემების/თემების განხილვა** - ეს მეთოდი უზრუნველყოფს სტუდენტთა ისეთ ურთიერთობას, რომელიც გულისხმობს აზრებისა და იდეების გაცვლას მასწავლებლის ჩაურევლად და მისი კონტროლის გარეშე. აღნიშნული მეთოდის საშუალებით მონაწილეებს უვითარდებათ ლოგიკური აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. მოცემული სავარჯიშო საშუალებას აძლევს მათ, გაიაზრონ პრობლემის არსი და დაამყარონ ერთმანეთთან კავშირი.
- **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
- **წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.
- **ანგარიშის შედგენა** - წინა სალექციო მასალის, დისკუსიის, დებატების რეზიუმე და წერილობითი ფორმით ჩაბარება-წარმოდგენა და ა.შ.
- ელექტრონული რესურსებით სწავლება
- **ელექტრონული სწავლება (E-learning)** – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:
  - დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.
  - ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.

დასაქმების სფერო

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშავოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- საკანონმდებლო ორგანოში;
- აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;
- სასამართლო ორგანოებში;
- სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში;
- ადგილობრივი თავითმმართველობის ორგანოებში;
- საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებში ან სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში.
- საერთაშორისო ორგანიზაციებში

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე. კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

**მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:** თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებსა და ლექტორებს შეუძლიათ წვდომა მსოფლიო ელექტრონულ ბაზებთან: ბიბლიოთეკა ჩართულია სხვადასხვა ელექტრონული ბიბლიოთეკის საძიებო სისტემაში. ინტეგრირებულ ელექტრონულ კატალოგში (EVERGREEN). დარგობრივ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში. გაწევრიანებულია EIFL-ის კონსორციუმში, რის შედეგადაც **2022 წლისათვის** ჩართული აქვს შემდეგი დარგობრივი სამეცნიერო მონაცემთა ბაზები, პუბლიკაციების **გამოქვეყნების** შესაძლებლობებით :

**Cambridge Journals Online** (<https://www.cambridge.org/core>)

**e-Duke Journals Scholarly Collection** (<https://read.dukeupress.edu/>)

**Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books** (<https://www.elgaronline.com/>)

**European Respiratory Journal** (<https://erj.ersjournals.com/>)

**IMechE Journals** (<https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE>)

**Mathematical Sciences Publishers Journals** (<https://msp.org/>)

**Openedition Journals** (<https://www.openedition.org/>)

**Royal Society Journals Collection** (<https://royalsociety.org/journals/>)

SAGE Journals (<https://journals.sagepub.com>)

The Company of Biologists' Journals (<https://www.biologists.com/development/>)

უფასოდ გამოაქვეყნოს პუბლიკაცია განსაზღვრული ჩამონათვალიდან შემდეგ ელექტრონულ რესურსებში:

European Respiratory Journal

IMechE APCs for open access publishing

Royal Society Journals Collection

SAGE APCs for Open Access Journals

The Company of Biologists free open access publishing

([https://eifl.net/apcs?field\\_subject\\_tid\\_1=All&field\\_e\\_resource\\_type\\_apc\\_tid=All&field\\_publisher\\_vendor\\_tid\\_1=All&shs\\_term\\_node\\_tid\\_depth=818](https://eifl.net/apcs?field_subject_tid_1=All&field_e_resource_type_apc_tid=All&field_publisher_vendor_tid_1=All&shs_term_node_tid_depth=818))

ფასდაკლებით გამოაქვეყნოს პუბლიკაცია განსაზღვრული ჩამონათვალიდან შემდეგ ელექტრონულ რესურსებში:

Brill APCs for open access publishing

Cambridge University Press APCs for open access publishing

Edward Elgar Publishing APCs for open access publishing

Taylor & Francis APCs for open access journals

Wolters Kluwer Health APCs for open access journals

World Scientific APCs for open access publishing

([https://eifl.net/apcs?field\\_subject\\_tid\\_1=All&field\\_e\\_resource\\_type\\_apc\\_tid=All&field\\_publisher\\_vendor\\_tid\\_1=All&shs\\_term\\_node\\_tid\\_depth=819](https://eifl.net/apcs?field_subject_tid_1=All&field_e_resource_type_apc_tid=All&field_publisher_vendor_tid_1=All&shs_term_node_tid_depth=819))

**2022 წლისათვის** ბიბლიოთეკას აქვს ასევე, Elsevier-ის მონაცემთა ბაზები:

ScienceDirect@online

Scopus® online

**2022 წლისათვის** ბიბლიოთეკას აქვს ასევე, EBSCO-ს მონაცემთა ბაზა:

EBSCO Food Science Source - აგრარული მიმართულებით

EBSCO Hospitality & Tourism-ტურიზმის მიმართულებით.

აქვს, ასევე, თრაიალის შემოთავაზება და საცდელი ვადით ჩაერთვება **ჰეინონლაინის სამართლის ბაზა**

ბიბლიოთეკაში სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ პროგრამის სილაბუსით გათვალისწინებულ ლიტერატურაზე. უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის. კომპიუტერულ ცენტრებში არსებული ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგების მისაღწევად ასევე გამოყენებული იქნება პროექტორები და სხვა ტექნიკური საშუალებები.

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:** სტუდენტთა ცოდნის შეფასება და კრედიტის მინიჭება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების და სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულების (დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: ოქმი #3 10.03.2017წ.) შესაბამისად. დეტალურად იხ. სასწავლო კურსების სილაბუსები.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**მითითება:** ყველა სილაბუსში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. თითოეულ საგანში სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გათვალისწინებით. სტუდენტს, რომელსაც დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულას მიიღებს, უფორმდება შეფასება F-0.

**პროგრამის ორგანიზების თავისებურებები**

**პროგრამა 240 კრედიტს მოიცავს. აქედან:**

**ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი** – 195 კრედიტი (ძირითად სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი -163 კრედიტი,; ძირითად სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი 32 კრედიტი.ამასთან სტუდენტი სავალდებულო კომპონენტში ასრულებს საბაკალავრო ნაშრომს ხელმძღვანელის მითითებებით.

თავისუფალი (სავალდებულო) კომპონენტი - 35 კრედიტი .

თავისუფალი (არჩევითი) კომპონენტი - 10 კრედიტი .

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	პროგრამის კომპონენტები	დაშვების წინაპირობა	სავარაუდო სემესტრი	ECTS კრედიტები	საათი		სულ
						საკონტაქტო	დამოუკიდებელი	
<b>სასწავლო კომპონენტი</b>								
<b>ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი - 167 კრედიტი</b>								
1	SBLS1LIJ	სამართალმცოდნეობის შესავალი	-	1	6	48	102	150
2.	SBLS1LCLG	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	-	1	5	46	79	125
3.	SBLS1LHoGL	ქართული სამართლის ისტორია	-	1	4	48	52	100
4.	SBLS1LMHR	ადამიანის ძირითადი უფლებები	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	2	5	48	77	125
5.	SBLS1LICL	სამოქალაქო სამართლის შესავალი	-	2	6	46	104	150
6.	BLS1LGAL	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	3	6	46	104	150
7.	SBLS1LIPL	საერთაშორისო საჯარო სამართალი	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი	3	5	46	79	125
8.	SBLS1LPL	სანივთო (ქონებრივი) სამართალი	სამოქალაქო სამართლის შესავალი	3	5	46	79	125
9.	SBLS1LGPM L	ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი)	სამოქალაქო სამართლის შესავალი	3	5	48	77	125
10.	SBLS1LCLGP	სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)	-	3	5	46	79	125
11.	SBLS1LPAL	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი	ზოგადი ადმინისტრაციული	4	6	48	77	125

			სამართალი					
12.	SBLS1LCL	სახელშეკრულებო სამართალი	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	4	5	45	80	125
13.	SBLS1LLOR	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	4	5	46	79	125
14.	SBLS1LCLO KC	სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (დანაშაულის სხვა სახეები)	სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)	4	5	48	77	125
15.	SBLS1LCLC AHM	ადამიანისა წინააღმდეგ მიმართული დანაშაული	სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)	5	5	48	77	125
16.	SBLS1LILHR P	ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი	საერთაშორისო საჯარო სამართალი	5	5	48	77	125
17.	SBLS1LPCL	სამოქალაქო სამართლის პროცესი	სახელშეკრულებო სამართალი	5	6	48	102	150
18.	SBLS1LFHL	საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი	სახელშეკრულებო სამართალი	5	5	46	79	125
19.	SBLS1LPCL	სისხლის სამართლის პროცესი	სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)  სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (დანაშაულის სხვა სახეები)	5	6	48	102	150
20.	SBLS1LECC	სამოქალაქო საქმეთა განხილვა სასამართლოში	სამოქალაქო სამართლის პროცესი	6	5	48	77	125
21.	SBLS1LCL	საკორპორაციო სამართალი	სახელშეკრულებო სამართალი	6	5	46	79	125
22.	SBLS1LLL	შრომის სამართალი	სახელშეკრულებო სამართალი	6	5	46	79	125
23.	SBLS1LECLC C	სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში	სისხლის სამართლის პროცესი	6	5	48	77	125
24.	SBLS1LEML	სამოხელეო სამართალი	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი	7	5	48	77	125
25.	SBLS1LPE	პროფესიული ეთიკა	ადმინისტრაციული	7	5	48	77	125

			სამართლის პროცესი; სამოქალაქო საქმეთა განხილვა სასამართლოში; სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში					
26.	SBLS1LEUL	ევროკავშირის სამართალი		7	5	46	79	125
27.	SBLS1LPLC	სამართლის კლინიკა (პრაქტიკული სამართალი)	პროფესიული ეთიკა	7	12	191	109	300
28.	SBLS1LTBD	საბაკალავრო ნაშრომი	მე-7 სემესტრის ჩათვლით დაგროვილი კრედიტები სავალდებულო საგნებში	8	10	15	235	250
29.	SBLS1LFEI1/ SBLS1 FG1	დარგობრივი უცხო ენა 1 (ინგლისური/გერმანული)	ინგლისური ენა 4/ გერმანული ენა 4	5	5	46	79	125
30.	SBLS1LFEI2/ SBLS1 FG2	დარგობრივი უცხო ენა 2 (ინგლისური/გერმანული)	დარგობრივი უცხო ენა 1 (ინგლისური/გერმანუ ლი)	6	5	46	79	125
<b>ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი - 28 კრედიტი</b>								
	SBLS1G&E	გენდერი და თანასწორობა	-		4	32	68	100
	SBLS1LHIFC	საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია	-		4	48	52	100
	SBLS1CLFC	საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი		4	48	52	100
	SBLS1IHL	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი	საერთაშორისო საჯარო სამართალი		4	48	52	100
	SBLS1LLIO	საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი	საერთაშორისო საჯარო სამართალი		4	48	52	100

	SBLS1LIPL	საერთაშორისო კერძო სამართალი	საერთაშორისო საჯარო სამართალი		4	48	52	100
	SBLS1LICL	საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი	საერთაშორისო საჯარო სამართალი		4	48	52	100
	SBLS1LICL	ღვინის სამართალი			4	48	52	100
	SBLS1LQAC	სამეწარმეო წესრიგის სამართალი					52	100
	SBLS1LLCD	ბავშვთა უფლებათა სამართალი			4	48	52	100
	SBLS1LTL	საგადასახადო სამართალი	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი		4	48	52	100
	SBLS1LEL	საარჩევნო სამართალი	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი		4	48		100
	SBLS1LLSG ML	ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი	საქართველოს კონსტიტუციური სამართალი  ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი		4	47	53	100
	SBLS1LRL	რომის სამართალი			4	48	52	100
	SBLS1LLIP	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	სამოქალაქო საქმეთა განხილვა სასამართლოში		4	48	52	100
	SBLS1LCR M	კაზუსის ამოხნის მეთოდოლოგია			4	48	52	100

მითითება: საგნების არჩევა ხდება 2/4/6/7/8 სემესტრებში პროგრამის და წინაპირობების გათვალისწინებით

	<b>თავისუფალი სავალდებულო კომპონენტები</b>				<b>35</b>			
1.	U1AW	აკადემიური წერა	-	2	5	32	93	125
2.	U1CS&IT	კომპიუტერული უნარ-ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები	-	1	5	32	93	125

3.	U.1E.1, 2,3,4 / U.1G.1, 2,3,4	უცხო ენა <sup>1</sup> (ინგლისური/გერმანული)	-	1,2,3,4	20	46	79	125
4.	U1iIFM	შესავალი ფილოსოფიურ აზროვნებაში		1	5	32	93	125
<b>თავისუფალი არჩევითი კომპონენტი</b>					<b>10</b>			
1.	FECGA	კომპიუტერის არქიტექტურა	-		5	46	79	125
2.	FECDC&C	დემოკრატია და მოქალაქეობა	-		5	32	93	125
3.	FECGCoGH	ზოგადი კურსი საქართველოს ისტორიაში	-		5	45	80	125
4.	FECCL	ლოგიკა	-		5	47	78	125
5.	FECHeGP	ქართული ფილოსოფიის ისტორია	-		5	32	93	125
6.	FECGCoP	შესავალი კურსი პოლიტოლოგიაში	-		5	32	93	125
7.	FECA&PPiG	ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესები საქართველოში	-		5	32	93	125
8.	FECRoCRbyIA	კატასტროფის რისკის შემცირება ინკლუზიური მიდგომით	-		5	32	93	125
9.	FECCE	ეთიკა	-		5	32	93	125
10.	FECRoCS	სამოქალაქო საზოგადოების როლი	-		5	32	93	125
11.	U1CS&IT	კომპიუტერული უნარ-ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები	-		5	46	79	125
12.	ENS1BGe	ზოგადი გეოგრაფია	-		5	32	93	125
13.	SBLS1PAD SEU	ევროკავშირი და საქართველოს ევროპული ინტეგრაცია	-		5	36	89	125

<sup>1</sup> ყოველი წინა ნაწილი

14.	EDS1PLTGF	ზოგადი ფსიქოლოგია	-		5	45	80	125
15.	U.1E.	უცხო ენა (ინგლისური ენა A0/A1)			5	46	79	125

მითითება: <sup>1</sup> სტუდენტი, რომელიც მისაღებ გამოცდაზე ახარებს ფრანგულს/რუსულ ენას და ბუნებრივია არ გააჩნია საწყისი დონე ინგლისურის/გერმანული ენის შემდგომი საფეხურების შესასწავლად, მას საშუალება აქვს თავისუფალი კრედიტების ხარჯზე გაიაროს A0/A1 დონე (უნივერსიტეტის მიერ ენის ცოდნის დონის დასადგენი შიდა ტესტირების გავლის საფუძველზე) და შემდეგ გაიაროს პროგრამით გათვალისწინებული უცხო ენის კომპონენტი შესაბამისი წინაპირობების დაცვით

კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით

სემესტრი	1	2	3	4	5	6	7	8	სულ
სამართლის სავალდებულო	15	11	26	21	32	25	15	22	167
სამართლის არჩევითი	0	4	0	4	0	8	12	4	28
საუნივერსიტეტო სავალდებულო	15	10	5	5	0	0	0	0	35
საუნივერსიტეტო არჩევითი	5	5	0	0	0	0	0	0	10
ჯამი	35	30	31	30	32	29	27	26	240